შპს

„ჯეომილ“

თბილისში, ჭირნახულის ქ. #4-ში მდებარე შპს „ჯეომილ“-ის რკინიგზის ლიანდაგის (ს/კ 01.01.841) აღდგენა-რეკონსტრუქცია

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

(მოპი)

თბილისი 2023 წელი

შპს

„C D C”

თბილისში, ჭირნახულის ქ. #4-ში მდებარე შპს „ჯეომილ“-ის
რკინიგზის ლიანდაგის (ს/კ 01.01.841) აღდგენა-
რეკონსტრუქცია

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

(მ ო პ ი)

ორგანიზების პრ. ავტორი ტ. სტურუა

თბილისი **2023** წელი

შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა

ა. განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

II. მშენებლობის დახასიათება

III. მშენებლობის ხანგრძლივობა

IV. მშენებლობის რიგობრიობა და ეტაპები

V. სამუშაოთა წარმოების ძირითადი მეთოდები

VI. მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

VII. მშენებლობის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

ბ. მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

გ. გრაფიკული ნაწილი

ნახაზი „მო-1“ - „ სამშენებლო გენგეგმა (სიტუაციური)“

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

შპს „ჯეომილ“-ის ტერიტორიაზე (ს/კ 01,01,841) არსებული სარკინიგზო ხაზის „მშენებლობის ორგანიზების პროექტი (მოპი)“ დამუშავებულია შპს “C D C”-ს მიერ.

„მშენებლობის ორგანიზების პროექტი (მოპი)“ დამუშავებულია მუშა პროექტის მასალების საფუძველზე, შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების (სნდაწ) და უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების თანახმად:

1.სნდაწ **3.01.01-85*** - "სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია"

2.სნდაწ **1.04.03-85** – "მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები"

3.სნდაწ **3.02.01-87** – "მიწის ნაგებობები. ფუძეები და საძირკვლები".

4.სნდაწ **III-4-80*** -„უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში."

5.ტექნიკური რეგლამენტი – "მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ"

6.ტექნიკური რეგლამენტი – "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები"

7.ტექნიკური რეგლამენტი-„სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“

8. საქართველოს მთავრობის **2019** წლის **31** მაისის დადგენილება **N 255**

9. სნდაწ 3.06.02-86 „ რკინიგზების მშენებლობის წარმოება და მიღება“

10. სხვა ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტაცია.

სნდაწ **3.01.01.-85***-ის მოთხოვნის თანახმად, მშენებლობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს „სამუშაოთა წარმოების პროექტი“. აკრძალულია მშენებლობის დაწყება დამტკიცებული „ სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს გარეშე

დამკვეთმა აუცილებლად უნდა განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა სამშენებლო - სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებაზე.

II. მშენებლობის დახასიათება

მშენებლობისათვის განკუთვნილი ტერიტორია განლაგებულია ქ. თბილისში, შპს „ჯეომილ“-ის კუთვნილ ტერიტორიაზე (ხაზობრივი ნაგებობა ს/კ 01.01.841).

სარკინიგზო ჩიხური ხაზის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს:

ა. მიწის ვაკისის განახლების სამუშაოებს:

1)დროებითი გრუნტის გზის მოწყობა ტექნიკის გადასაადგილებლად.

2)01 ლიანდაგის არსებული ნაწილის პკ0+0 0 ისრის ბოლომდე (პკ1+05,53) მიწის ვაკისის წარბას ნიშნულის დაწევა საპროექტო ნიშნულამდე.

3)01 საპროექტო ახალი ლიანდაგისთვის 01 საპროექტო ისრიდან მისაბრჯენამდე (პკ 2+9.52-დან - პკ 4+28,70) მიწის ვაკისის მოწყობა.

ბ. ლიანდაგის ზედა ნაშენის მოწყობის სამუშაოებს:

1)01 სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის მოწყობა (პროექტი ითვალისწინებს არსებული ლიანდაგის ზედა ნაშენის სრულ დემონტაჟს და ახალი ზედა ნაშენის მოწყობას, ასევე ახალი საისრე გადამყვანის მოწყობას.

2)სალიანდაგო სარელსო საბჯენის მოწყობა.

3) წყალმიმღები არხის მოწყობა.

პროექტი ასევე ითვალისწინებს ლიანდაგებზე ქვიშა-ხრეშის ბალასტის მოწყობას, გეოტექსტილის მოწყობას, რკ/ბეტონის შპალების მოწყობას და რელსების მოწყობას.

01 სარკინიგზო ლიანდაგის საერთო სიგრძე შეადგენს 332 მ-ს.

III. მშენებლობის ხანგრძლივობა

კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ -ს ტერიტორიაზე ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ **1.04.03-85-** ის „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს და „ დამხმარე მშენებლობის ხანგრძლივობის განსაზღვრისათვის“ საფუძველზე, ტერიტორიის სეისმურობის კოეფიციენტის **(1,15)** , სადემონტაჟო სამუშაოთა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისა და შეთავსებადობის გათვალისწინებით და შეადგენს 3 თვეს მშენებლობის დაწყებიდან.

მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 0,3 თვეს.

ცალკეული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების ხანგრძლივობა და ტექნოლოგიური თანამიმდევრობა მოცემულია „ მშენებლობის კალენდარულ გრაფიკ“-ში.

IV. მშენებლობის რიგობრიობა და ეტაპები

ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა ხორციელდება ორ რიგად:
მშენებლობის I რიგი - მოსამზადებელი სამუშაოები (ორი ეტაპი).
მშენებლობის II რიგი - ძირითადი სამუშაოები (რვა ეტაპი).
ძირითადი სამუშაოები ხორციელდება ორ ქვერიგად:
I ქვერიგი- 01 ლიანდაგის (არსებული) დემონტაჟი.
II ქვერიგი- 01 ახალი ლიანდაგის მოწყობა.

მოსამზადებელ სამუშაოებს მიეკუთვნება (ორი ეტაპი):
I ეტაპი:
1. პირველი მონაკვეთის (უბნის) შემოღობვა დროებითი ღობით.
2. დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა.
3.დროებითი სასაწყობო მოედნების მოწყობა.
4.დროებითი ელექტრომომარაგების და წყალმომარაგების ქსელების მოწყობა.
5.სახიფათო ზონების აღნიშვნა ნიშნებით და სიგნალებით .
II ეტაპი:
- დროებითი გრუნტის გზის მოწყობა ტექნიკის გადასაადგილებლად.
მოსამზადებელი სამუშაოები ხორციელდება ერთდროულად, პარალელურ რეჟიმში.

I და II ქვერიგების ძირითად სამუშაოები სრულდება ცალკეულ ძირითად სამშენებლო ეტაპებად (რვა ეტაპი):

I ეტაპი- 01 სარკინიგზო ლიანდაგის დემონტაჟი
II ეტაპი- 01 ლიანდაგის არსებული ნაწილის პკ00-დან 01 ისრის ბოლომდე (პკ2+9,52)მიწის ვაკისის წარბას ნიშნულის დაწევა საპროექტო ნიშნულამდე.
III ეტაპი- 01 საპროექტო ახალი ლიანდაგის 01 საპროექტო ისრიდან მისაბრჯენამდე (პკ2+9,52-პკ4+28,70) მიწის ვაკისის მოწყობა.
IV ეტაპი- 01 სარკინიგზო ლიანდაგის მოწყობა (I ნაკადის), ახალი საისრე გადამყვანის მოწყობით.
V ეტაპი-სალიანდაგო სარელსო საბჯენის მოწყობა.
ცალკეული ეტაპების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „ მშენებლობის კალენდარულ გრაფიკ“-ში.

V. სამუშაოთა წარმოების ძირითადი მეთოდები

„სამუშაოთა წარმოების პროექტ“-ში დამუშავდეს სადემონტაჟო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დეტალური მეთოდები.

მშენებლობის დაწყებამდე დაზუსტებულ უნდა იქნას სამშენებლო მიწის ნაკვეთზე სავარაუდო გამავალი მიწისქვეშა საინჟინრო ქსელების განლაგება, რისთვისაც ობიექტზე გამოძახებული უნდა იქნას საინჟინრო ქსელების მფლობელი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საინჟინრო ქსელების არსებობის შემთხვევაში მშენებლობის მოსამზადებელ პერიოდში მოხდეს ამ ქსელების დემონტაჟი და გადატანა.

1. 01 არსებული სარკინიგზო ლიანდაგის სადემონტაჟო სამუშაოები:

01 არსებული სარკინიგზო ლიანდაგის დემონტაჟი წარმოებს ორ ურთიერთსაპირისპირო ნაკადად .

სადემონტაჟო სამუშაოები წარმოებს საავტომობილო ამწის დახმარებით, ტვირთამწეობით 30 ტნ. ამწე სამუშაოთა წარმოებისას მოძრაობს ლიანდაგის გასწვრივ არსებულ გზაზე (II ნაკადის სამუშაოების დროს) და ლიანდაგის ტრასაზე (I ნაკადის სამუშაოების დროს).

2. 01 ახალი სარკინიგზო ლიანდაგის მოწყობის სამუშაოები:

01 ახალი სარკინიგზო ლიანდაგის მოწყობის სამუშაოები წარმოებს ერთი მიმართულების ნაკადად. ნაკადებზე სამუშაოთა წარმოების მიმართულება, სამუშაოების დასაწყისი და დასასრული იხილეთ ნახაზ „მო-1“-ზე -„სამშენებლო გენგეგმა (სიტუაციური)“.

სამუშაოები წარმოებს საავტომობილო ამწით, ტვირთამწეობით 30 ტნ. სამუშაოთა წარმოებისას ამწე მოძრაობს ლიანდაგის გასწვრივ არსებულ გზაზე (II ნაკადის სამუშაოების დროს) და ლიანდაგის ტრასაზე (I ნაკადის სამუშაოების დროს).

01 სარკინიგზო ლიანდაგის II ნაკადის(02 ლიანდაგის პარალელური) მოწყობის სამუშაოები (გარდა სადემონტაჟო სამუშაოებისა) წარმოებს ორ პარალელურ ნაკადად, პარალელურ რეჟიმში, მონაკვეთებზე (უბნებზე) ლიანდაგის მოწყობის სამუშაოთა გარკვეული წინსწრებით. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ არსებული სადემონტაჟო 01 სარკინიგზო ლიანდაგის II ნაკადის ლიანდაგის ხაზის ახალი საისრო გადამყვანიდან 30-40 მ მანძილზე დემონტაჟის შემდეგ უნდა დაიწყოს ახალი 01

სარკინიგზო ლიანდაგის II ნაკადისა ლიანდაგის მოწყობის სამუშაოები და მოეწყოს ეს ლიანდაგები მინიმუმ 100 მეტრის სიგრძით ახალი საისრე გადამყვანიდან.

ახალი სარკინიგზო ლიანდაგების მოწყობის სამუშაოები წარმოებს ცალკეულ სამუშაო მონაკვეთებად (უბნებად), სიგრძით 200-250 მ. თითოეულ მონაკვეთზე (უბანზე) 01 ლიანდაგის II ნაკადის მოწყობის სამუშაოები წარმოებს შემდეგი თანამიმდევრობით:

1. წყალმიმღები არხის მოწყობა.
2. 01 ახალი ლიანდაგის (II ნაკადი) მოწყობა.

სამშენებლო მოედანზე შემოსვლა ხდება ქუჩის ტერიტორიიდან.

ფუძის გრუნტისა და ბალასტის ფენის დატკეპვნა ხდება თვითმავალი მტკეპნავით, წონით 10 ტნ-მდე.

გრუნტის მოჭრა და გადაადგილება ხდება ბულდოზერით. წყალმიმღები არხის მოწყობა და გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე ხდება ექსკავატორით. ზედმეტი გრუნტის გატანა სამშენებლო მოედნიდან ხდება ავტოთვითმცლელების საშუალებით.

მიწის სამუშაოები შესრულდეს სნდაწ **3.02.01-87**-ის მოთხოვნების და უსაფრთხოების მოქმედი ნორმების და წესების მკაცრი დაცვით.

საავტომობილო ამწე მუშაობს ისრულ და ისრულ-ბატიყელიან შესრულებაში, გამოსატან საყრდენებზე.

საავტომობილო ამწით ხდება შპალების და რელსების დემონტაჟი და მონტაჟი. ბეტონის ნარევის მიწოდება ჩალაგების ადგილებში ხდება ავტობეტონპომპას საშუალებით.

ბეტონის ნარევის შემოტანა სამშენებლო მოედანზე ხდება ავტობეტონმიქსერებით.

ბეტონის ნარევის კონსტრუქციებში ჩალაგებისას აუცილებელია მათი სიღრმისეული და ჰორიზონტალური ვიბრირება ელექტროვიბრატორებით.

არმატურის კარკასის შეკვრა ხდება უშუალოდ მათი ჩაწყობის ადგილზე.

ყველა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო შესრულდეს მათი ტექნოლოგიური ციკლის მოთხოვნების, უსაფრთხოების მოქმედი ნორმების და წესების მკაცრი დაცვით.

სამშენებლო- სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროცესში უნდა შედგეს შემდეგი აქტები:

ა. დაფარული სამუშაოების: 1) მიწის სამუშაოებისა და ბალასტის მოწყობის 2) რკ/ბეტონის ფილის მოწყობის სამუშაოების 3) რკ/ბეტონის კონსტრუქციებში არმატურის კარკასის მოწყობის სამუშაოების სამუშაოების და სხვა.

ბ. დათვალიერების: 1) შესრულებული სამუშაოების 2) შემოტანილი მასალების. დეტალების და ნაკეთობების 3) მანქანა-მექანიზმების, მცირე მექანიზაციის საშუალებების და შრომის იარაღების 4) უსაფრთხოების ღონისძიებების შესრულების 5) მუშათა შრომის და დასვენების პირობების და სხვა.

გ. გამოცდის: 1) ამწე მანქანა-მექანიზმების 2) სხვა მანქანა-მექანიზმების 3) ახალი ლიანდაგის 4) ტექნოლოგიური და ძალოვანი დანადგარების და მოწყობილობების და სხვა.

VI. მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

ახალი სარკინიგზო ხაზის მოსაწყობად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. ექსკავატორი „უკუ ჩამჩა“ტევადობით 1,0 მ3- 1 ცალი
2. ბულდოზერი- 2 ცალი
3. საავტომობილო ამწე, ტვირთამწეობით 30 ტნ-1 ცალი
4. ავტობეტონპომპა - 1 ცალი
5. ავტოთვითმცლელი- 4 ცალი
6. ბორტული მანქანა- 3 ცალი
7. სპეციალური ტრანსპორტი (რელსები, არმატურა,) - 1 ცალი
8. თვითმავალი მტკეპნავი, წონით 10 ტნ. –1 ცალი
9. მოძრავი კომპრესორი- 2 ცალი
10. ბეტონმიქსერი - 4 ცალი

VII. მშენებლობის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

სადემონტაჟო და სამშენებლო -სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სნდაწ -III-4-80*-ის "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში"-ს მოთხოვნები, უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები, ასევე ხანძარ-საწინააღმდეგო ნორმების მოთხოვნები.

სამშენებლო მოედანი(სამუშაო მონაკვეთები) უნდა შემოიღობოს საჩეხიანი დროებითი ღობით. შემოღობვა აღნიშნული უნდა იყოს შესაბამისი ნიშნებით და სიგნალებით, რომლებიც კარგად დასანახი უნდა იყოს დღე-ღამის ნებისმიერ დროს. ღამის საათებში მუშაობის შემთხვევაში სამშენებლო მოედანი, სამუშაო უბანი, გასასვლელები და მისასვლელები სათანადოდ უნდა იყოს განათებული. სამშენებლო მოედანზე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს დამცავი ღობით, უსაფრთხოების ნიშნებით და სათანადო წარწერებით.

მასალების, კონსტრუქციების, მოწყობილობების სამშენებლო მოედანზე განთავსებისას მიღებული უნდა იქნას ზომები მათი ჩამოცურების, ჯდენის,ჩამოცვენის და გაშლის საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

მშენებლობის დროს გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, მათი ექსპლოატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით.

მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს მწარმოებლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

მანქანა-მექანიზმების მუშაობის ზონაში უნდა განთავსდეს გამაფრთხილებელი ნიშნები. ტვირთის ჩაბმა ასაწევად არ უნდა მოხდეს თვითნაკეთი ჩასაბმელით და უნდა განხორციელდეს ამწე-მექანიზმის ქარხნული ჩასაბმელით ან ტვირთის ჩასაბმელი სპეციალური მოწყობილობით. ჩაბმის ხერხი უნდა გამორიცხავდეს ტვირთის ვარდნის ან მოსრიალების შესაძლებლობას.

ავტომანქანის ამწევი მექანიზმებით დატვირთვისას როგორც მძღოლს , ასევე სხვა პირებს ეკრძალებათ მანქანის კაბინაში ყოფნა, თუ ამ უკანასკნელს არა აქვს დამცავი საფარი.

ბეტონის ნარევის ელექტროვიბრატორით შემკვრივების დროს უნდა გამოირიცხოს დენგამტარის იზოლაციის დაზიანება.

სამშენებლო კონსტრუქციის ან მასალის აწევა დასაშვებია მხოლოდ გვარლზე მიმაგრებული მარყუჟის ან ტრავერსის ჩაბმით. ამწის მემანქანესა და მემონტაჟეს შორის უნდა არსებობდეს კომუნიკაციის საშუალება.

მუშების ყოფნა კონსტრუქციისა და დანადგარის ელემენტებზე მათი გადაადგილების დროს სასტიკად აკრძალულია.

სამუშაოთა წარმოების დროს წარმოშობილი სახიფათო ზონის რადიუსი განისაზღვროს „სამუშაოთა წარმოების პროექტ“-ში ან უშუალოდ ადგილზე.

აკრძალულია უცხო პირთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და განსაკუთრებით სახიფათო ზონის ფარგლებში.

სამშენებლო მოედანზე წარმოშობილი ყველა სახიფათო ზონა უნდა აღინიშნოს კარგად დასანახი ნიშნებითა და სიგნალებით და შემოღობილ იქნას.

სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დაზუსტებულ იქნას შესაძლო მიწისქვეშა კომუნიკაციების განლაგების ადგილები მათ მფლობელ ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან ერთად.

აკრძალულია სამშენებლო მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების სიახლოვეს სამშენებლო მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები-განწესის საფუძველზე, რომელსაც გასცემს ამ ხაზის მფლობელი ორგანიზაცია.

მშენებლობაზე დასაქმებულ მუშაკებს სისტემატურად უნდა ჩაუტარდეთ სწავლებები და ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების საკითხებზე. აკრძალულია მათი დაშვება სამუშაოებზე ამ სწავლებებისა და ინსტრუქტაჟის გავლის გარეშე.

აკრძალულია სამშენებლო მოედანზე ადამიანთა ყოფნა დამცავი ჩაფხუტის გარეშე.

სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებული მუშები უნდა იყვნენ აღჭურვილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (დამცავი ჩაფხუტი; რეზინის ფეხსაცმელები და ხელთათმანები; უსაფრთხოების ქამარი; დამცავი სათვალე და სხვა).

სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოებაზე ობიექტზე უშუალოდ პასუხისმგებელია უსაფრთხოების მენეჯერი და სამუშაოთა მწარმოებელი. მხოლოდ მათი უშუალო ზედამხედველობით უნდა წარმოებდეს სამუშაოები.

ყველა მუშა უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე, მოერიდოს სახიფათო ზონებში გადაადგილებას და ყოფნას.

სამშენებლო მოედანზე მიღებულ იქნას ზომები გარემოს დაბინძურებისაგან დასაცავად.

სამშენებლო ობიექტზე მომუშავე მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობებით (დროებითი შენობები).

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს აუცილებელია გარემოს დაცვა დაბინძურებისგან და შესაბამისი ღონისძიებების გატარება, მათ შორის:

სამშენებლო მოედნიდან გამომავალი ყველა ავტომანქანის და მექანიზმის სავალი ნაწილი უნდა გაირეცხოს წყლით.

სამშენებლო ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს ძარაგადაფარებული ავტომანქანებით.

ამტვერებადი მასალები უნდა დამუშავდეს სველი მეთოდით.

მშენებლობის Წარმოების კალენდარული გრაფიკი

	სამუშაოთა ჩამონათვალი	I თვე						II თვე						III თვე					
		5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30
I რიგის სამუშაოები	მოსამზადებელი სამუშაოები სამშ. მოედნის მოსაწესრიგებლად, შესანარჩუნებელი ნარგავების დაცვა	5																	
	არსებული შკალების, რელსების დემონტაჟი				22														
II რიგის სამუშაოები	ლიანდაგის ვაკისის მოწყობა								18										
	კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულზე - შკალების, რელსების მოწყობა														45				

სამშენებლო სამუშაოების დასრულება - 90 დღე

				09/09-2022-რლ-2		
				ქ. თბილისში ჭირნახულის ქ. №4-ში, შპს „ჯეომილ"-ის კუთვილი რკინიგზის ლიანდაგის აღდგენა-რეკონსტრუქცია		
				რკინიგზის ლიანდაგი	ფურცელი	
					2	6
დააპროექ.	ზანდარაშვილი			კალენდარული გრაფიკი	თბილისი შპს "CDC" 2022 წ.	